



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ინგლისური ფილოლოგია (ინგლისურენოვანი)
პროგრამის ხელმძღვანელი	ნიკოლოზ ფარჯანაძე, ავილირებული პროფესორი, დოქტორი მობილური ტელეფონი: +995 558 902 185 ოფისის ტელეფონი: +995 322 59 00 05 (შიდა 137) ელ-ფოსტა: <a href="mailto:nparjanadze@ibsu.edu.ge">nparjanadze@ibsu.edu.ge</a> ; <a href="mailto:nickparjanadze@yahoo.com">nickparjanadze@yahoo.com</a>
სწავლების საფეხური	მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების II საფეხური)
სწავლების ენა	ინგლისური
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
კრედიტების რაოდენობა	120 ECTS კრედიტი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი / Master of English Philology
დაშვების წინაპირობები	სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები უნდა ჩააბაროს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის და უცხოეთში გავლილი ინგლისურენოვანი პროგრამების კურსდამთავრებულები აბარებენ გამოცდას მხოლოდ სპეციალობაში, ხოლო დანარჩენები - სპეციალობის გარდა აბარებენ გამოცდას ინგლისურ ენაში, რომელიც შეესაბამება B2 დონეს ან წარადგენენ ამ დონის შესაბამის საერთაშორისო სერტიფიკატს.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ინგლისური ენა დიდი ხანია დამკვიდრდა, როგორც ლინგვა ფრანკა საერთაშორისო ბიზნესს, პოლიტიკურ თუ კულტურულ არენაზე, და მისი, როგორც საერთაშორისო კომუნიკაციის ენის მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება. ინგლისური ენის ცოდნამ სასიცოცხლო როლი შეიძინა თანამედროვე სამყაროში. აქედან გამომდინარე, ინგლისური ენის ფილოლოგიებს მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებათ ერთა შორის კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ჰარმონიზაციის პროცესში.  ინგლისური ფილოლოგიის სფერო საკმაოდ ფართოა და გულისხმობს ინგლისური ენის და ანგლო-ამერიკული ლიტერატურის, კულტურის, ენის ფილოსოფიისა და ენის სწავლების ასპექტების შესწავლას. ამდენად, ინგლისური ენის ფილოლოგიის სპეციალობა ითვალისწინებს ლინგვისტური და კულტურული კომპეტენციის ფორმირებას.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: [contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>ინგლისური ფილოლოგიის ეს კონკრეტული ასპექტი სრულიად შეესაბამება ჩვენი უნივერსიტეტის მისწრაფებებს გააძლიეროს და გააღრმავოს კულტურათა შორის დიალოგი, რაც ხელს უწყობს ერთა შორის თანამშრომლობასა და მეგობრობას. ექვვარეშა, რომ ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში საერთაშორისო გარემოს შექმნას; უფრო ფართო თვალსაზრისით კი, იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ისეთი პიროვნების ფორმირებაში, რომელსაც გააჩნია სწორი წარმოდგენა მოქალაქეობრივი მოვალეობებისა და თანამედროვე სამყაროს შესახებ.</p> <p>პროგრამის მიზანია სტუდენტს განუვითაროს სათანადო კომპეტენცია ინგლისური ენისა და ლიტერატურის სფეროში. სასწავლო კურსები უზრუნველყოფს ინგლისური ენის მაღალკვალიფიციური ფილოლოგიის აღზრდას. კურსდამთავრებული შეიძენს ინგლისური ენათმეცნიერებისა და ანგლო-ამერიკული ლიტერატურის ღრმა ცოდნას, რაც ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას თანამედროვე აკადემიური და სამეცნიერო მოთხოვნების შესაბამისად.</p> <p>პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებული აღჭურვოს უნარ-ჩვევებით, რომლებიც აუცილებელია მომავალი დამოუკიდებელი კვლევისა თუ მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისათვის. კურსის მსვლელობისას ჩვენ განსაკუთრებულ აქცენტს ვაკეთებთ ინგლისურ ლინგვისტიკაზე (მის სხვადასხვა დარგზე), ანგლო-ამერიკულ ლიტერატურაზე, სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევებსა და მაღალი საფეხურის აკადემიური ინგლისურის სპეციფიკაზე, რადგანაც ჩვენი მიზანია ავლზარდოთ ინგლისური ენის ფილოლოგი, რომელიც შეძლებს მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ეფექტურად და პროფესიონალიზმით გამოყენებას. ჩვენი კურსდამთავრებულები შეძლებენ ინგლისური ენის მასწავლებლებად იმუშაონ სკოლებში (ნებისმიერ საფეხურზე), უნივერსიტეტებში წაიკითხონ კურსები ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში და აწარმოონ დამოუკიდებელი კვლევები ინგლისური ფილოლოგიის სფეროში.</p> <p>სწავლის პერიოდში სტუდენტებმა უნდა შეასრულონ დიდი მოცულობით დამოუკიდებელი სამუშაო (პროგრამით გათვალისწინებული სავარჯიშოები, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტები, პრეზენტაციები, საკურსო ნაშრომები) იმისათვის, რომ პროგრამის დამთავრებისას ჩამოუყალიბდეთ უწყვეტი განათლებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ამ მიზნით საჭიროა გარკვეული მოცულობის თეორიული (ლინგვისტური) ცოდნა,</p>
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>რომელიც უზრუნველყოფილია მთელ რიგ კურსებში. ღირებულებათა შორის, რომლებიც ჩამოყალიბდებათ კურსდამთავრებულებს, იქნება ენების "გრძნობა", ენის შესწავლისადმი ინტერესი და პატივისცემა საკუთარი და სხვა კულტურისადმი, საგანმანათლებლო სფეროს კვლევისა და პრაქტიკული მუშაობის მიმართ ღრმა ინტერესი, ჰუმანისტური და დემოკრატიული პედაგოგიკის პრინციპებისადმი პატივისცემა. კურსის კონკრეტული მიზნები უზრუნველყოფს, რათა სტუდენტმა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაიღრმავოს დარგობრივი ცოდნა ინგლისური ენისა და ლიტერატურის კვლევისა და თეორიების, ანგლო-ამერიკული ზოგადი და გამოყენებითი ლინგვისტიკის შესწავლის კუთხით;</li> <li>• მოახერხოს შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;</li> <li>• გაიღრმავოს დარგობრივი და ზოგადი უნარ-ჩვევები და კომპეტენციები და გამოიყენოს ისინი კვლევასა თუ პროფესიულ პრაქტიკაში;</li> <li>• გამოიმუშაოს დარგისადმი ღრმა ინტერესი და აწარმოოს კვლევები ინგლისური ენის სწავლების, ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კუთხით.</li> </ul>
<p><b>სწავლის შედეგები</b></p>	<p>რადგანაც საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე, ყველა სასწავლო კურსი ანვითარებს ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს. ინგლისური ენის C1 (მშობლიურ ენაზე მოსაუბრესთან მიახლოებური ენობრივი კომპეტენცია) დონე, რომელსაც სტუდენტმა უნდა მიაღწიოს კურსის გავლისას გულისხმობს ზოგად და პროფესიულ ინგლისურ ენაზე თავისუფლად კომუნიკაციის შესაძლებლობას. ამ მიზნით, ყველა სასწავლო კურსის შემთხვევაში, სტუდენტი შესწავლის დიდი რაოდენობით პროფესიულ ტერმინოლოგიას და შეითვისებს სათანადო ცნებებს. ამას გარდა, ისეთი კურსები, როგორცაა ლინგვისტური თეორიები, გამოყენებითი ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, კომუნიკაციური გრამატიკა და ანგლო-ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობა გაზრდის სტუდენტის თეორიულ ცოდნას ლინგვისტიკასა და ანგლო-ამერიკულ ლიტერატურაში. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ენათა სკოლა ინგლისურ ენაში შესაბამისი დონის კურსებს შესთავაზებს იმ</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: [contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>სტუდენტებს, რომელთაც პრაქტიკულ ენაზე დამატებით მუშაობის სურვილი ექნებათ.</p> <p>ყოველი კურსი ითვალისწინებს ინტერნეტით მასალების მოძიებას, ნაშრომების დაბეჭდვასა და PowerPoint პრეზენტაციების მომზადებას. ისინი ასევე განავითარებენ ვერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს.</p> <p>პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში სტუდენტები მიიღებენ შემდეგ კომპეტენციებს:</p> <p><b>ცოდნა და გაცნობიერება:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც ახალი იდეების შემუშავების საშუალებას აძლევს;</li> <li>• ინგლისური ენის ცოდნა, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით შეესაბამება C1 დონეს;</li> <li>• თეორიული ცოდნა ლინგვისტიკის ისეთ დარგებში, როგორცაა გამოყენებითი ლინგვისტიკა, ლექსიკური სემანტიკა, სოციოლინგვისტიკა, დისკურსის ანალიზი, კომუნიკაციური გრამატიკა; მოცემულ დარგებში კვლევის მეთოდოლოგიის სპეციფიკის ცოდნა;</li> <li>• ინტერდისციპლინარული კვლევის ცოდნა, როგორცაა ლინგვოსტილისტიკა, ლინგვოპრაგმატიკა, დისკურსის ანალიზი;</li> <li>• ანგლო-ამერიკული ლიტერატურის ცოდნა - ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის ჟანრები და განვითარების ეტაპები.</li> </ul> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკუთარი მოსაზრების პრაქტიკული მაგალითებითა და თეორიების მეშვეობით განმტკიცების უნარი;</li> <li>• ინგლისური ენის თეორიასა და ლიტერატურაში მიღებული ცოდნის გამოყენების უნარი დარგისათვის სპეციფიკური საკითხების კვლევისას.</li> </ul> <p><b>დასკვნის უნარი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ანალიტიკური უნარ-ჩვევები, რაც უზრუნველყოფს ინფორმირებულ დასკვნებს, რომლებიც ეფუძნება მოპოვებულ ინფორმაციასა და მონაცემებს;</li> <li>• დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისა და გაგება-გააზრების უნარი;</li> </ul>
--	--



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინგლისურ ფილოლოგიაში არსებულ სიკითხვებზე დასკვნების გაკეთების უნარი ინდუქციური და დედუქციური მეთოდების, ასევე ანალოგიების გამოყენებით;</li> <li>• ლინგვისტიკასა და ლიტერატურულ კვლევებში წამოჭრილი საკითხების შესწავლისა და პრობლემების გადაჭრის უნარი;</li> <li>• ინგლისური ენის ფილოლოგიის სფეროში არსებული კვლევის მეთოდების მეშვეობით მნიშვნელოვანი საკითხების კვლევის უნარი.</li> </ul> <p><b>კომუნიკაციის უნარი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ვერბალური კომუნიკაციის კომპეტენცია, რომელის ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით შეესაბამება C1 დონეს (მოსმენა, საუბარი, კითხვა, წერა), რათა უზრუნველყოს მაგისტრატურის დონეზე ინგლისურად სწავლა;</li> <li>• არავერბალური კომუნიკაციის უნარი (ადექვატური ჟესტები, სხეულის ენა და თვალით კონტაქტი; ეფექტური კომუნიკაციის მისაღწევად თვალსაჩინოების გამოყენების უნარი);</li> <li>• სტრატეგიული კომპეტენცია (სწავლის ეფექტურად დაგეგმვისა და ვერბალური კომუნიკაციის უნარი, ასევე თვითკორექციის უნარი);</li> <li>• პრაგმატული კომპეტენცია (ვერბალური კომუნიკაციის მეშვეობით პრაქტიკული ამოცანების შესრულების უნარი), რომელიც ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით შეესაბამება C1 დონეს;</li> <li>• პრეზენტაციის უნარი;</li> <li>• წყვილებში და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები;</li> <li>• პროფესიული (ლინგვისტიკა, ინგლისური ფილოლოგია), განსაკუთრებით აკადემიურ სტილში კომუნიკაციის უნარ-ჩვევა, რაც აუცილებელია მოცემულ სფეროში თანამედროვე მიღწევების განხილვისას.</li> </ul> <p><b>სწავლის უნარი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მასალის დამახსოვრების სტრატეგიები;</li> <li>• ინტერნეტითა და ბიბლიოთეკაში ინფორმაციის მოპოვების უნარი;</li> <li>• სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვის უნარი;</li> <li>• უნარი განახორციელო დამოუკიდებელი კვლევა აკადემიური პატიოსნების სტანდარტების გათვალისწინებით.</li> </ul> <p><b>ღირებულებები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარი;</li> <li>• ახალი ცოდნის მოპოვებისაკენ მისრწრაფება;</li> <li>• დოკუმენტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების უნარი;</li> </ul>
--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge





## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტოლერანტულობა, სურვილი გაიგო სხვა კულტურა და მგრძობიარობა სხვა კულტურისადმი;</li> <li>• აკადემიური პატიოსნება;</li> <li>• პროფესიული ეთიკის პატივისცემა.</li> </ul>
<p><b>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</b></p>	<p>შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;</li> <li>2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;</li> <li>3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;</li> <li>4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;</li> <li>5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.</li> </ol> <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</li> <li>2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</li> </ol> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.</p> <p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:</p> <p>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;</p> <p>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.</p> <p>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფასებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.</p> <p><b>საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:</b></p>																														
	<table border="1"> <thead> <tr> <th style="width: 5%;">№</th> <th style="width: 55%;">კრიტერიუმი</th> <th style="width: 20%;">მაქსიმალური ქულა კრიტერიუმების მიხედვით</th> <th style="width: 20%;">მინიმალური ქულა</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td style="text-align: center;">1</td> <td>აქტუალობა</td> <td style="text-align: center;">10</td> <td></td> </tr> <tr> <td style="text-align: center;">2</td> <td>კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა</td> <td style="text-align: center;">10</td> <td></td> </tr> <tr> <td style="text-align: center;">3</td> <td>კვლევის თეორიული მნიშვნელობა</td> <td style="text-align: center;">10</td> <td></td> </tr> <tr> <td style="text-align: center;">4</td> <td>სიახლე</td> <td style="text-align: center;">10</td> <td></td> </tr> <tr> <td style="text-align: center;">5</td> <td>საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა</td> <td style="text-align: center;">15</td> <td></td> </tr> <tr> <td style="text-align: center;">6</td> <td>კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის</td> <td style="text-align: center;">5</td> <td></td> </tr> </tbody> </table>	№	კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა კრიტერიუმების მიხედვით	მინიმალური ქულა	1	აქტუალობა	10		2	კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა	10		3	კვლევის თეორიული მნიშვნელობა	10		4	სიახლე	10		5	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა	15		6	კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის	5			
№	კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა კრიტერიუმების მიხედვით	მინიმალური ქულა																												
1	აქტუალობა	10																													
2	კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა	10																													
3	კვლევის თეორიული მნიშვნელობა	10																													
4	სიახლე	10																													
5	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა	15																													
6	კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის	5																													

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	/მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, მსჯელობა)		
7	დაცვისას მასალის პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის ძირითადი დებულებების წარმოდგენა)	15	
8	დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა	15	
9	დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა	10	
<b>სულ</b>		<b>100</b>	
<b>საბოლოო შეფასება</b>			
<b>დასაქმების სფერო</b>	<p>აკადემიური სფერო - ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის მასწავლებელი ენის კურსებზე (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნორმატიული აქტებისა და დადგენილებების შესაბამისად დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში)</p> <p>არა-აკადემიური - ჰუმანიტარული პროფილის სახელმწიფო ან არა-სამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმება.</p>		

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge